

K10104  
1



საქართველოს სსრ  
პოლიტიკური და მეცნიერული  
ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება

### დავით ფახულიძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

გ ა მ ო ჩ ე ნ ი ძ ი  
ვ ა ნ გ ი მ ნ ა რ ა ძ ი  
რ მ ა ნ რ მ ლ ა ნ ი

(გარდაცვალებიდან ათი წლისთავის გამო)

თბილისი

1954

საქართველოს სსრ ეროვნული და გაცნოარების მოღის  
გამაცხადებელი საზოგადოება

8N (opp)  
3 2498

## დავით ფანერიძე

ჭილოლოგიურ მუცწიერებათა კანდიდატი

გ ა მ თ ჩ ე ნ ი ღ ი  
ვ ა ე ნ გ ი ღ ი ღ ი  
რ თ მ ა ნ ა რ ა ნ ი  
რ თ მ ა ნ ა რ ა ნ ი

(გარდაცვალებიდან ათი წლისთავის გამო)

თბილისში წაკითხული საჯარო  
ლექციის სტენოგრამა





რედაქტორი — საქართველოს სსრ შეცნოერებათა  
აკადემიის ნამდვილი წევრი გ. ახვლედიანი



Հոգօն հոլանդ



მაქსიმ გორგი რომენ როლანს საფრანგეთის ლევ ტოლსტიოს უწოდებდა. გორგი ბეღნიერად თვლიდა თავს, რომ საფრანგეთში იყო მისთვის ბავშვობიდანვე საყვარელა მწერალი, ისეთი მშვენიერი ადამიანი და ისეთი გულითადი მხატვარი, როგორც რომენ როლანი.

რომენ როლანი XX საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში ისეა შესული და დამკვიდრებული, რომ უმისოდ ამ ლიტერატურის წარმოდგენა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია იგი ანატოლ ფრანსის, ან ანრი ბარბიუსის გარეშე.

რომენ როლანი ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი-რეალისტია XX საუკუნის ფრანგულა ლიტერატურისა და, შეიძლება ითქვას, მთელ დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა. როლანის სახით კაცობრიობის წინაშე წარმოდგა დადი მწერალი თავისი მაღალი მორალური იდეალებით და გულწრფელობით, წარმოდგა საინტერესო ადამიანი, რომელსაც „ევროპის სინდისი“, „დიდა ევროპიელი“, „ევროპის თვალი“ შეარქევს. ათასობით მშრომელი ადამიანები რომენ როლანს თვლინენ „ცხოვრების მასწავლებლად“.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ რომენ როლანმა ერთ-ერთი თავისი საუცხოო ნაწარმოების „მოხიბლული სულის“ გმირს რივიერი (La rivière) ქ. ი. მდინარე, დაარქვა. ჩვენი დიდი ილია ჭავჭავაძის მსგავსად დიდი ფრანგი მწერალა სწორედ მდინარებაში ხედავს ცხოვრების აზრს, გაღვიძებულ ცხოვრებას, მუდმივ მოძრაობას, მუდმივ მოქმედებას, წინ სწრაფვას, ცვალება-დობას და სიცოცხლეს, ხედავს ცხოვრების მაჯისცემას, მუდმივ დინებას. ვინც თვალს გადაავლებს რომენ როლანის ცხოვრებასა და შემოქმედებას ის დარწმუნდება, რომ იგი არის მუდმივა დინება, მუდამ ახლისაკენ სწრაფვა, ახალი გზების ძიება.

რომენ როლანმა განვლო ცხოვრებისა და შემოქმედების წინააღმდეგობებით აღსავს ძნელი და გრძელა გზა — წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან ის საბოლოოდ პროლეტარიატთან და სოციალიზმთან მივიღა, დაუკავშირდა დიდ საბჭოთა კავშარს, რომელიც მას პროგრესული კაცობრიობის დიად შუქურად მიაჩნდა.



რომენ როლანი დაიბადა 1866 წლის 29 იანვარს ბურგუნდიის პატარა ქალაქ კლამსში, პროვინციელი ნოტარიუსის ქახახში. დედა მისი გატაცებულა იყო მუსიკით და სწორედ მან ჩაუნერგა ჯერ კიდევ პატარა როლანს განსაკუთრებული სიყვარული მუსიკისადმი, რამაც წარუშლელი კვალი დაამჩნია შემდეგ როლანის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას; კიდევ მეტი, ხელოვნებამ და მისდამა ორმა სიყვარულმა განსაზღვრა თითქმის მთელი შემოქმედება მწერლისა.

რომენ როლანი აღრევე გაიტაცეს გამოჩენილმა აღამიანებმა — შექსპირმა, ბეთჰოვენმა, მოცარტმა. შემდეგ, პარიზში სწავლისას, ამ სახელებს შეუერთდა ბარუხ სპინოზა და რიპარდ ვაგნერი, რომელთა შემოქმედება ასევე გატაცების საგანი გახდა ჭაბუკი როლანისათვის, შემდეგ ამ სახელებს მიემატა გოეთე და ვიქტორ ჰიუგო, ხოლო მალე ყველა მათგანზე მაღლა როლანმა დააყენა დიდი რუსი ხალხის კიამაყე და მშვენება ლევ ტოლსტიო. რომენ როლანი ლევ ტოლსტიოს თვლიდა არა მარტო თავის მასწავლებლად, არამედ, საერთოდ, ცხოვრების მასწავლებლად.

რომენ როლანი ჯერ მშობლიურ ქალაქ კლამსში სწავლობდა, შემდეგ (1886 წ.) გადავიდა პარიზში, სადაც ას შევიდა უმაღლეს პედაგოგიურ სკოლაში. აქ როლანი ბეჭითად სწავლობდა ფილოსოფიას, ისტორიას, გეოგრაფიას, მუსიკას. ამ სკოლის დამთავრებას შემდეგ რომენ როლანი ორწლიანი მივლინებით მიემგზავრება საზღვარგარეთ — გერმანიასა და იტალიაში. ამ ქვეყნებში ის ეცნობა მსოფლიო კულტურის ძეგლებს. სამშობლოში დაბრუნებული როლანი უმთავრესად მუშაობს ხელოვნების ისტორიაში, განსაკუთრებით მუსიკის დარგში. მუსიკა თავიდანვე როლანის გატაცების საგანი იყო და სწორედ ამ დარგში გამოაქვეყნა მან თავისი პირველი გამოკვლევა: „იტალიური მხატვრობის დაქვეითების მიზეზების შესახებ“.

1895 წელს პარიზში გამოვიდა როლანის სადისერტაციო ნაშრომი: „ევროპული ოპერის ისტორია ლიულიმდე და სკარლატიმდე“. ამ შრომაში როლანი, სტენდალის მსგავსად, დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ამჟღავნებს ძველი იტალიურა მუსიკისადმი. მალე ის ინიშნება მუსიკის ისტორიას პროფესორად უმაღლეს პედაგოგიურ სკოლასა და სორბონში. როლანი კითხულობს ლექციებს წარსულის

დიდი კომპოზიტორების შესახებ, ჯერ უმაღლეს პედაგოგიურ სკოლაში, შემდეგ სორბონში, ბოლოს სოციალური ცოდნის უმაღლეს სკოლაში, ამავე დროს ეწევა შემოქმედებითს მუშაობას მხატვრულ ლიტერატურაში.

\* \* \*

რომენ როლანის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისს. ამ პერიოდში კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში. ეს პერიოდი შემობრუნების პერიოდია ძველიდან ახლისაკენ. „XX საუკუნე — აი შემობრუნების პუნქტი ძველი კაპიტალიზმიდან ახალი კაპიტალიზმისაკენ, კაპიტალის ბატონობიდან საერთოდ ფინანსური კაპიტალის ბატონობისაკენ“<sup>1</sup>.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, კიდევ უფრო ძლიერდება კაპიტალისტური კონცენტრაცია, რომელიც ანადგურებს მრავალ საწარმოს, ხალხი იტანჯება უმუშევრობისა და გაჭირვების გამო. მსხვილი მონოპოლისტება თანდათანობით ზრდიან თვითი როლს სახელმწიფოთა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ბურუუზია თავს ესხმის დემოკრატიას, ის აწყებს იმპერიალისტური ომების იდეოლოგიურ მომზადებას. ძლიერდება შოვინიზმი, რასობრივი სიძულვილი, სოციალური უთანასწორობა, კოლონიური დაპყრობები, სამხედრო ავანტიურათა ქადაგება.

ბურუუზიული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ფართო მასშტაბის დეკადანსმა თავისი პირდაპირი გამოხატულება პოვა, ერთი მხრივ, ნატურალიზმი, მეორე მხრივ, დეკადენტურ მიმართულებებში.

ყოველივე ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ ჩაკვდა ყველაფერი, რომ აღარ არსებობს ჯანსაღი, პროგრესული ნაკადი ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომ აღარ არსებობს მოწინავე, პროგრესული მწერლობა? ცხადია, რომ არ ნიშნავს.

მართალია, იმპერიალიზმის ეპოქაში ხელოვნება და ლიტერატურა, ისევე როგორც ყოველი დარგი ცხოვრებისა, ღრმა კრიზისსა და დაცემას განიცდის, მაგრამ მაუხედავად ამისა, მაინც წამოიზარდ-

<sup>1</sup> გ. ი. ლენინი, თხ. ტ. 22, გვ. 281.

ნერ ნიჭიერი მწერლები, რომლებიც დაუახლოვდნენ ხალხს და გზ-  
მოვიდნენ მათი ონტერესების დასაცავად. ასეთმა პროგრესულმა  
მწერლებმა ლრმა სიყვარული და თავდადება გამოიჩინეს თავიანთ  
ხალხსა და სამშობლოსადმი, წინააღმდეგნენ იმპერიალისტური რე-  
აქციის შემოტევას, ამხილეს კაპიტალიზმის მანქიერებანი, მისი გადა-  
გვარება და დაცემა, დაგმეს ბურჟუაზიული ურთიერთობა, სადაც  
„ადამიანი ადამიანისათვის მგელია“.

იმპერიალისტი მწერლები მოწყდნენ თავიანთ ხალხს, მათ კავ-  
შირი გაწყვიტეს კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებთან, უარყვეს  
დემოკრატიული მოთხოვნები და ქამდეც კი მივიდნენ, რომ ჰუმა-  
ნიზმი, სათნოება, სიკეთე „მონების მორალად“ გამოაცხადეს. მო-  
წინავე, პროგრესული მწერლები, პირიქით, დაუკავშირდნენ ხალხს,  
განაგრძეს კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო ტრადიციები და  
დადგნენ დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეების საგუშავიზე.

იმპერიალიზმის აპოლოგეტი მწერლები ყოველნაირად ცდი-  
ლობენ ერთმანეთს წაპერდონ მშვიდობის მოყვარე ხალხები, ჩამოაგ-  
დონ მათ შორის უნდობლობა და შუღლი და ამ გზით მიიყვანნონ  
ისინი ერთმანეთის ხოცვა-ულეტამდე, იმპერიალისტურ იმამდე. თა-  
ვიანთი სამშობლოსა და ხალხს ერთგული მწერლება კრიტიკული  
რეალიზმისა და ჰუმანიზმის პოზიციებზე დგანან, ისინი იმპერია-  
ლისტურ რეაქციას, ბარბაროსობას, ძალადობასა და ამორალობას  
უპირისპირებენ მშვიდობისა და თავისუფლების იდეებს, მაღალ  
პოლიტიკურ და მორალურ იდეალებს.

იმპერიალისტური რეაქციის მეხოტებები მჭიდროდ დაუ-  
კავშირდნენ რეაქციულ, მძიტიკურ, რელიგიურ თეორიებს და უარ-  
ყვეს სინამდვილის, საზოგადოებრივი ცხოვრებას რეალისტური  
ასახვა. მოწინავე ჰუმანისტმა მწერლებმა, მართალაა, განიცადეს ამ  
თეორიების სხვადასხვაგვარი გავლენა, მაგრამ ყოველივე ეს დროე-  
ბითი და წარმავალი აღმოჩნდა, რადგან ისინი ძირითადად ხელოვ-  
ნების რეალისტური პრინციპების დასაცავად გამოვიდნენ და დაბე-  
ჯითებით მოითხოვეს სინამდვილის რეალისტური მხატვრული  
ასახვა.

ამნაირად, დიდი მხატვრული ნაწარმოებები შექმნეს არა იმპე-  
რიალიზმის დამცველმა მწერლებმა, არამედ მოწინავე, პროგრესულ-  
მა მწერლებმა, როგორც, მაგალითად, ანატოლ ფრანსმა, რომენ  
როლანმა, ანრი ბარბიუსმა, ჰაინრიხ მანმა, ბერნარდ შოუმ, ჯონ

շուալսպարտում, չեք լոռնդոնմա, մարյ Ռվենմա, ուղարկոր գրանիշը և  
դա սեցամ.

լեզնոն, տազու թիգնմո „օմքերուալութմո, հոգորու յածուալութմո  
մու պալլայսու սტագու“, մուտուուեմու, հոմ XX սայցունու ժամացուցան  
տոտքմու պայլա յածուալուստուր յայպանամու աջուու գյուս օմքերուա-  
լութմու մոմարտ թվարու-ծուրյուանուու-դոմոյրատուու ունութուուսու,  
մուշեցագագ մուսու, հոմ յու ունութուու հոյուրմուստուու դա տազուսու  
պանոմուրու սայցուցանու հոյուրմուու ույու, մաս մանց կյոնճա ցար-  
քուու մնուշունելունա. լեզնոն թիրս: „ունունսուրու ունուցարյուսու  
սամունելու ծարունունու սամունելու յայբեցու մուցենաց յիհուրեց տաղ-  
մու պայլա, հոմ պայլա յածուալուստուր յայպանամու — ամերոյամու,  
սայցանցութմու դա ցորմանումու — ցահնճա լուուրատուրա, հոմելուու  
ծուր յու անու լու տաղսանունու ցոսու, մաշրամ մանց ժասկլուցուտ  
սթոր սուրատու ունուցա դա պարուույցու յուցեցաց — հա ույթա պնդա,  
մեմինուրաց — ունունսուրու ունուցարյուսու“<sup>1</sup>.

հուցեսաց վլապարացութ սանուցարցարյուտու մունուցա, პրոցրեսու-  
լու միշերլուցու մերու յածուալուստուրու սանուցադուցու յիհուույուս.  
յեսաեց, ար պնդա ցուցոյիրուու, տոտքու, յու յիհուույու պայլա միշերալ-  
տան յիհունաուրո ույու, հոմ յու ունութուու ծուրյուանուու սանուցադու-  
ցու մոմարտ յիհունաուրո մլույրու ույու պայլա միշերլուս յեմոյմե-  
ցուցամու. ամուրու ար յեսուցու ույու, հոմ ամա ու ու պրոցրեսուլու  
միշերլուս յեմոյմեցու տացունաց ծուռումու, մտլուանաց հոյալուստու-  
րու, հոմ մաս թինաալմուցունու, յենուգուլունու ար աեսուաուցու.

պայլա ծուրյուանուու միշերլուս ցեսուրեց դա յեմոյմեցու  
մերնայլուցու թինաալմուցունու եսուաուցու. ցեսանա, յու թինաալմ-  
ուցունու դա մերոյունունու յիշոյուս ցամուսաթուուցու. եմուրաց այսու  
ծուրյուանուու միշերալու յիհունաուրու սանունաալմուցու նախարմո-  
ւցու ավտորու մացալուուա, ցնունու ցորմանու միշերալու տոմաս  
մանս յեսուաունու հոյալուստուրու հոմանու „ծուրյունիրոյեցու“ դա  
ամաց դրու ցուցու ցուցունուու եսուաու նախարմուցու „չագոյիրուու  
մտա“. թինաալմուցունունու յեսուաու ացուու չագ ցուռուսուրուու,  
անա-  
թու ցրանունու, քանինու մանս յեմոյմեցունու. ասեց ույթու հոմեն  
հուանու մսուումեց ցուռունուս դա յեմոյմեցունու մոմարտաց.

<sup>1</sup> Յ. Օ. ԱՐԵՆՈՒ, ուեն., Ըս. 22, էջ. 283.

\* \* \*

როგორც ვთქვით, რომენ როლანს სამწერლო ასპარეზზე გამოუვლა მაშინ მოუხდა, როდესაც კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვერარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში, იმპერიალიზმის სტადიაში. ამ დროს საფრანგეთის ბურჯუაზის თავისი კაპიტალი გააქვს საზღვარგარეთის ქვეყნებში და ამით იგი ერთგვარ „სარგებლობას“ იღებს.

ლენინი თავის შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, მიუთითებს, რომ „ინგლისის, კოლონიური, იმპერიალიზმისაგან განსხვავებით, საფრანგეთის იმპერიალიზმის შეიძლება სავაჭშო იმპერიალიზმი ვუწოდოთ“<sup>1</sup>. ამნაირად ფრანგა ბანკირები, რომლებიც „ევროპის მევახშეები“ გახდნენ უსინდძისოდ ძარცვავენ და აწიოებენ ხალხებს, ქადაგებენ შოვინიზმს, ყოველნაირად ცდილობენ ჩაქრონ მუშათა რევოლუციური გამოსვლები.

XX საუკუნის დასაწყისში იმპერიალისტური რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში. 1905 წელს საფრანგეთის ბურჯუაზია სესხათ დაეხმარა მეფის რუსეთს და ამით „ფეხი დააჭირა“ მას, აღათქმევინა ერთგვარი დამობანი.

ცნობილია, რომ „მეფის თვითმკურნებელობას 1905 წლის რევოლუციის ჩაქრობაში დაეხმარნენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები. უცხოელ კაპიტალისტებს ეშინოდათ რუსეთში დაბანდებული თავისი კაპიტალების და უდიდესი შემოსავლის დაკარგვისა. ამას გარდა, მათ ეშინოდათ, რომ რუსეთის რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში რევოლუციისათვის აღსდგებიან სხვა ქვეყნის მუშებიც. ამიტომ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები დაეხმარნენ ჯალათ მეფეს. საფრანგეთის ბანკირებმა დიდი სესხი მისცეს მეფეს რევოლუციის ჩაქრობად. გერმანიის მეფეს მზად ჰყავდა მრავალათასიანი არმია ინტერვენციისათვის რუსეთის მეფის დასახმარებლად“<sup>2</sup>.

\* \* \*

იმპერიალისტური ტენდენციების ასეთი ზრდის დროს, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდში, ფრანგულ (ისე როგორც სხვა ქვეყნების) ლიტერატურაში შეიქმნა მოწინავე; პროგრესულ მწერალთა ბანაკი, რომელმაც აქტიური ბრძო-

<sup>1</sup> გ. ი. ლენინი თხ., ტ. 22, გვ. 304.

<sup>2</sup> საჭ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1953 წ., გვ. 113.

ლა გააჩალა იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ. ამ ბანკის ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენლები არიან ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი და სხვ.

\* \* \*

რომენ როლანი ცდილობდა გამოსავალი ეპოვნა იმპერიალიზმის წინააღმდეგობებიდან; კრიტიკულ მომენტებში მან თვალი მიაჰყრო კაცობრიობის კულტურულ წარსულს. ამ საქმეში მას ცოტა სამსახური როდი გაუწია იმ გარემოებამ, რომ როლანს უკვე ამ დროსაც ჰქონდა სათანადო ცოდნა წარსული კულტურისა და ამ კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლების შემოქმედებისა. მან იცოდა აგრეთვე დიდი სოციალურ—პოლიტიკური ამბები, კერძოდ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია, რენესანსის ანუ აღორძინების პერიოდი. ერთა სიტყვით, XIX საუკუნის დასასრულისათვის რომენ როლანი წარმოგვიდგება, როგორც ენციკლოპედიური განათლების აღამიანი, რომელმაც წარსულის გმირული ამბები და ჰუმანისტი მოღვაწეები დაუპირისპირა თავისი დროს გახრწილსა და გადაგვარებულ ბურჟუაზიულ კულტურას.

ამ მხრივ აღსანიშნავია როლანის საუცხოო ნარკვევების ციკლი „გმირული ბიოგრაფიები“, რომელშიც შედის: „ბეთჰოვენი“, „მიქელ ანჯელო“ და „ლევ ტოლსტოი“.

დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ამ დროის რომენ როლანის ცხოვრებაში მისი გატაცება რუსული კულტურით, რუსული ლიტერატურით, კერძოდ დიდი რუსი მწერლით ლევ ტოლსტოით. ფრანგ მწერალს აფიქრებდა და აღლვებდა ხელოვნებისადმი ლევ ტოლსტოის დამოკიდებულების საკითხი. რომენ როლანმა 1887 წლის 16 აპრილს აღფრთოვანებული წერილი გამოუგზავნა ლევ ტოლსტოის; ეს აყო პირველი წერილი, რომელსაც თვითონ ლევ ტოლსტოი „მშვენიერ წერილს“ უწოდებდა. ასე დაიწყო მათ შორის მიმოწერა და მეგობრობა.

საგულისხმოა, რომ სულიერი კრიზისის დროს ფრანგი მწერალი დიდ რუს მწერალს თხოვდა რჩევას თუ როგორ მოქცეულიყო, და ტოლსტოიც დინჯად და დამაჯერებლად ურჩევდა მას ხალხთან ყოფნას, ხალხთან კავშირს. ლევ ტოლსტოი თავის პასუხში როლანის კითხვებზე მუდამ იმას უსვამდა ხაზს, რომ მწერალს ხალხი უნდა უყვარდეს, რომ ნამდვილი ხელოვნება იქმნება ხალხთან კავშირსა

და ურთიერთობაში. ყოველივე ამან გამანაყოფიერებელი გავლენა იქნია როლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების განვითარებაზე.

ლევ ტოლსტოი როლანისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „ძვირფასო ძმაო, მივიღე თქვენი პირველი წერილი, მან ისე ამიჩუყა გული, რომ კითხვის დროს ცრემლები მდაოდა“.

ამ მიმოწერის შემდეგ რომენ როლანი დარწმუნდა, რომ ტოლსტოი აბრძოლა არა საერთოდ ხელოვნების წინააღმდეგ, არამედ თავისი დროის ბურუუზაული ხელოვნების წინააღმდეგ.

რომენ როლანი ლევ ტოლსტოის პიროვნებაში ხედავდა ბრწყინვალე სინათლეს, ნუგეშსა და იმედს. ის წერს: „დიადი რუსული სულა, რომლის ცეცხლი ასი წლის წინათ დაინთო დედამიწაზე, ჩემი თაობის ადამიანებისათვის ყველაზე ბრწყინვალე სინათლე იყო, რომელმაც მათი ახალგაზრდობა გააცისკროვნა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის მძიმე, დაბინდულ პერიოდში იგი გამოჩნდა მანუგეშებელ ვარსკვლავად, რომლის მზერა ჩვენს ჭაბუკურ სულს ხიბლავდა და ამშვიდებდა, ჩვენთვის ძალიან ცოტა იყო ტოლსტოის შემოქმედებით აღტაცება: ჩვენ ვცხოვრობდით ამ შემოქმედებით, აგი ჩვენი იყო. ჩვენი იყო თავისი მხურვალე ცხოველმყოფელობით, გულის სტკაბუკით. ჩვენი იყო თავისი ირონიული გულგატეხილობით, თავისი ულმობელი პრინცაპულობით, თავისი სიკვდილის საშინელებით. ჩვენი იყო თავისი ოცნებით, ძმური სიყვარულითა და კაცთა შორის მშვიდობით. ჩვენა იყო ცვილიზაციის სიცრუეთა მრისხანე მამხილებლობით, თავისი რეალიზმითა და მისტიციზმით, ბუნების ქროლვით, უხილავი ძალების შეგრძნებით, უსაზღვროებით დათრობათ“.

„გმირული ბიოგრაფიების“ პირველ ნაწილში, რომელიც მიძღვნილია ბეთჰოვენისადმი, როლანი წერს: „მე მიყვარს, მაშასადამე, მე ვარსებობ“. მისთვის ადამიანი უწინარეს ყოვლისა არის ტემპერამენტი, ხტიქია, ვნება. ამ დროისათვის როლანის მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ის ჯერ კიდევ უმეტესად მეოცნებე იდეალისტია, რომელიც ქადაგებს ამბოხებას ბურუუზიული საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს როლანისებური მმბოხება არსებულთან შერიგებით თავდება.

თავის „გმირულ ბიოგრაფიებში“ როლანს ბეთჰოვენი, მიქელ-ანჯელო და ლევ ტოლსტოი ისეთ ადამიანებად მიაჩნია, რომლებიც თავი-

ანთი მოღვაწეობით იძლეოდნენ გმირობის მაფალითებს. აქ როლანი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი (ცხადია, არა სამივე ერთნაირად. დ. ფ.) აყვნენ რწმენის, გრძნობისა და განცდის ადამიანები, უარყოფნენ ბურუჟაზიულ თეორიას „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“ და თავიანთი შემოქმედებათა და გმირული სულისკვეთებით ემსახურებოდნენ კაცობრიობის აღზრდისა და განათლების საქმეს.

რომენ როლანის აღრინდელ ნაწარმოებთა სერიას — „რწმენის ტრაგედიებს“ („წმინდა ლუი“, „აერტი“, „მოვა დრო“) კვლავ წარსულში გადაყვავართ.

საკითხავია, რატომ მიმართავს როლანი ასე ხშირად ისტორიას? როლანი ისტორიულ წარსულს იმიტომ მიმართავს (გარდა იმისა, რაც ზემოთ უკვე ვთქვით), რომ ის იქ ექებს ე. წ. „მარადიულ ხასიათებს“, „მარადიულ პრობლემებს“.

როლანს იმდენად ის კი არ აინტერესებს, თუ რა მიზანი აქვს გმირთა ბრძოლას, რამდენადაც ის, თუ როგორია მათი რწმენა, თუ როგორ განიცდიან და გრძნობენ ისინი. მწერალი იმ აზრს ავითარებს, რომ, რა ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს მოპირდაპირეთა ბრძოლას, ორივე მხარეში მაინც იღვიძებს ჰუმანიზმის, სათნოებისა და ძმობის გრძნობა, რომელიც ფარავს ყველაფერს. ასე, მაგალითად, ტრაგედიაში „მოვა დრო“ პაციფისტ ოუენს მწერალი ასეთ სიტყვებს ათვევინებს: „მოვა დრო და ადამიანები შეიცნობენ ჰეშმარიტებს. ლომი და კრავი ერთმანეთის გვერდით დაწვებიან“. ამნაირად, როლანის კონცეფციის მიხედვით, დაღება ისეთი დრო, როცა მგელი და ცხვარი ერთად მოძოვს: აქ ყველაფერი გადატანილია მორალურ ფაქტორებზე, ზნეობრივ სრულყოფაზე, სათნოებაზე და გამორიცხულია კლასობრივი ბრძოლა, რაც იმას მოწმობს, რომ ძლიერი იყო ლევ ტოლსტოის გავლენა რომენ როლანზე, კერძოდ ლევ ტოლსტოის ქადაგება, რომ „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს ძალადობით“.<sup>1</sup>

„რწმენის ტრაგედიებით“ რომენ როლანს სურდა შეექმნა სახალხო თეატრი და ამის მეოხებით შთანერგა ხალხში ბრძოლის სულისკვეთება, გამოეწვია ამბოხება ბურუჟაზიული საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ აქაც გაორებას ვხედავთ მწერლის პიროვნებაში, ვინაიდან ეს ამბოხება უძლურია: იგი შერიგებით, კომპრომისით თავ-

1 ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 15. გვ. 38.

დება. როლანი ვერ იჩენს ბოლომდე თანმიმდევრობას. რით უნდა ას სწავლას ასეთი არათანმიმდევრობა და გაორება? ეს უნდა აიშსნას როლანის წვრილებურუუზიული ჰუმანიზმით. როლანის გმირის ამბოხება თუ პროტესტი ფაქტიურად რაღაც აბსტრაქტული მორალური ქადაგებით თავდება.

ცხადია, რომენ როლანს ვერ ვუსაყვედურებთ, თითქოს მას გულწრფელად არ სძულდეს ბურუუზიული საზოგადოება, საფრანგეთას მესამე რესპუბლიკა; მაგრამ ის ფაქტია, რომ მწერალი არ აყენებს ამ საზოგადოების რევოლუციურად შეცვლის ან მოსპობის საკითხს, მისი გმირები ოცნებობენ რაღაც არარსებულ „სიყვარულისა და ჰარმონის სამეფოზე“.

ამნაირად, რომენ როლანი აშკარად ხედავს, რომ ბურუუზიული საზოგადოება გადავგარებასა და დაცემას განიცდის, მწერალს ბურუუზიული წყობილება ნამდვილად სძულს, მაგრამ მას არ ესმის მის წინააღმდეგ ბრძოლის რეალური გზები და საშუალებანი.

ასეთსავე იდეურ კონცეფციაზეა აგებული რომენ როლანის „რევოლუციის თეატრი“. ამ ციკლში, ავტორის გეგმით, გათვალისწინებული იყო ათი დრამა, დაწერილია მხოლოდ რვა: „მგლები“, „დანტონი“, „გონების ზეიმი“, „თოთხმეტი ივლისი“, „სიყვარულისა და სიყვლილის თამაში“, „ბზობა“, „ლეონიდები“ და „რობერსპიერი“.

ეს ნაწარმოებები ახალი შემოქმედებითი აღმავლობის მაჩვენებელია რომენ როლანის შემოქმედებაში.

დრამებს ამ სერიაში რომენ როლანი მიმართავს ნაციონალურ-რევოლუციურ თემატიკას, კერძოდ XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურუუზიულ რევოლუციას. როგორც ცნობილია, ამ თემაზე საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს ვიქტორ ჰიუგომ („ოთხმოცდაცამეტი წელი“) და ანატოლ ფრანსმა („ღმერთებს სწყურიათ“).

ვიქტორ ჰიუგომ რომანტიკულ-რეალისტურა გაშუქება მისცა საფრანგეთის რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს — 1793 წელს, იაკობინელთა დიქტატურის პერიოდს. მწერალი რევოლუციის საქმის დამცველებს გულთბილად გვიხატავს, რადგან მათ უმთავრესად თავაანთი ხალხისა და სამშობლოსადმი სიყვარული ამორავებთ. ძირითადად ჰიუგომ ეს რომანი პატრიოტული ნაწარმოებია, მასში მწერალი მყაფიოდ ამბობს: „სახელს ვერ მოიხვეჭ, გმირი ვერ გახდები, თუ სამშობლოს წინააღმდეგ იბრძვი“. მესამე რესპუბლიკა, ჰიუგოს აზრით, უნდა იქნეს სათნოების რესპუბ-

ლიკა. „ამწისტია, ამბობს ჰიუგო, „ყველაზე მშვენიერი სიტყვაა, როგორიც კი წარმოთქმული ადამიანურ ენაზე“. მიუხედავად ამისა, ვიქტორ ჰიუგომ 1789 წლის რევოლუციისადმი მაანც ცალმხრიობა, გაორებული დამოკიდებულება გამოიჩინა. მან ცნო ბურუუაზიული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ უარყო იაკბინურა ტერორი. რევოლუციის ლიდერებიდან ვიქტორ ჰიუგო თანაუგრძნობს დანტონს; რაც შეეხება რობერსიერსა და მარატს, მწერალმა სათანადოდ ვერ შეაფასა მათი როლი ამ რევოლუციაში.

ვიქტორ ჰიუგოს რომანი „ოთხმოცდაცამეტი წელი“ რომ შევაღაროთ ანატოლ ფრანსის რომანს „ღმერთებს სწყურიათ“, მათ შორის დიდ განსხვავებას დავინახავთ. ჰიუგო უფრო ახლოა ისტორიულ სინამდვალესთან, ვიდრე ანატოლ ფრანსი. ფრანსი ყალბად წარმოგვიდგენს ამ რევოლუციას (და საერთოდ რევოლუციას), მწერალი შორს დგას მისი რეალისტური გაზრებისა და გაგებისაგან. ის ცალმხრივად ხატავს რობერსიერისა და მარატის მოღვაწეობის სურაობებს, მწერალი მათ „ბალებსა და უკულმართ აღამიანებს“ უწოდებს.

დამახასიათებელია ნაწარმოების სათაური — „ღმერთებს სწყურიათ“, იგი ამოღებულია ბერძნული მითოლოგიდან, რომლის მიხედვითაც, როცა ღმერთებს სწყურიათ, მაშინ დიდი სისხლის ღვრა უნდა მოხდეს. ანატოლ ფრანსის აზრით, რევოლუცია არის მხოლოდ სისხლის ღვრა, ამიტომ იგი (რევოლუცია) უაზრო. მწერალს რევოლუცია ესმის, როგორც მხოლოდ დანგრევა, განადგურება; ვერ ხედავს, რომ საფრანგეთის ამ რევოლუციამ დაამსხვრია ძველი ფეოდალურ-მონარქისტული წყობილება და გზა გაუკაფა ახალ ბურუუაზიულ წყობილებას.

განვიხილოთ, თუ როგორ მიუდგა რომენ როლანი თავის „რევოლუციის თეატრში“ ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას.

თავისი შემოქმედებითი ზრდის პროცესში რომენ როლანი თანდათანობით რწმუნდება, რომ ხელოვნების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხს. ის ცდილობს ამ მხრივ წარმართოს ცხოვრების სინამდვილის მხატვრული ასახვა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ამისა, სინამდვილის ეს როლანისებური ასახვა კვლავ ასტრაქტულია და შეზღუდული.

ზემოაღნიშვნული ციკლის ზოგიერთ ნაწარმოებში რომენ როლანი გარკვეულ წარმატებას აღწევს, როგორც მოაზროვნე მხატვარი.

ამ მხრივ დრამა „თოთხმეტი ივლისი“ გამოარჩევა თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით. მასში როლანი აგვიწერს თუ როგორ აიღო შეტევით ხალხმა 1789 წლის თოთხმეტი ივლისს ბასტილია, რომელიც რევოლუციის დაწყებას მოასწავებდა. აյ და სხვა დრამებში ხალხთა მასების აჯანყებანი მწერალს ისე კარგად და შთამაგონებლად აქვს აღწერილი, რომ ისინი მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებენ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საფრანგეთის ეს პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია ამ დროის როლანს მაინც უმთავრესად სტიქიური ძალების გამოვლინებად ეჩვენება, მწერლის აზრით, ეს სტიქიურა ამბოხებანი წარმოშობენ აღამიანთა ძლიერ ვნებებსა და ხასიათებს. როგორც ვხედავთ, როლანი გატაცებულია არა რევოლუციის ნამდვილი მამოძრავებელი ძალებით, არა მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობას არსის გაგებით, არამედ ცალკეულ პიროვნებათა აბსტრაქტული გმირობით.

„რევოლუციის თეატრის“ ციკლის წინანდელ დრამებში აშკარად ჩანს რომენ როლანის მსოფლმხედველობის შეზღუდული მხარეები, მისა იდეალისტური ილუზიები. მაშინ როლანი ჟირონდისტებს განადიდებდა, იაკობინელებს კი აკრიტიკებდა, დანტონი მას გმირობის შრვერვალად მიაჩნდა, ის ამ ფიგურას მოძრაობის სათავეში აყენებდა. ამ მხრივ ალსანიშნავია დრამა „დაწონი“.

შემდგომ წლებში, როცა რომენ როლანის მსოფლმხედველობა-სა და შემოქმედებაში გარდატეხა მოხდა, როცა ჯერ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და მერე დიადმა სოციალისტურმა სინამდვილემ ძლიერი, კეთილმყოფელი გავლენა იქონია რომენ როლანზე, ის შეუდგა თითქმის სრულიად ახალი დრამის წერას და დაამთავრა იგი 1938 წელს. ეს ახალი დრამა არის „რობერსბიერი“.

როგორც თვითონ რომენ როლანი აღნიშნავს, ის ცამეტი წლის იყო, როცა შეუდგა XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დადი ეპოპეის შექმნას. ის დიდხანს ფიქრობდა დაეწერა ცალკე ნაწარმოები რობერსბიერის შესახებ, მაგრამ აყოვნებდა, ვიდრე მთლიანად არ დაეუფლებოდა სიუჟეტს და მხოლოდ მაშინ, როცა ყველაფერი მომწიფდა და დადგა დრო, სამოცდათორმეტი წლის რომენ როლანმა დაამთავრა და გამოაქვეყნა დრამა „რობერსბიერი“.

ამ შესანიშნავმა დრამამ ფართო გამოხმაურება პოვა მოწინავე

საზოგადოებრიობაში, განსაკუთრებულად დადი წარმატება ხვდა  
მას საბჭოთა მკითხველისა და მაყურებლის თვალში. თვითონ რომენ  
როლანი სამართლიანად თვლიდა ამ ნაწარმოებს ეპოქეის მწვერ-  
ვალად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებითი, პრინციპული განსხვავებაა  
იმ რომენ როლანსა, რომელმაც საუცხოო ისტორიული ნაწარმოები  
„რობესპიერი“ შექმნა, და იმ როლანს შორის, რომელმაც „რევო-  
ლუციის თეატრის“ აღრინდელი დრამები დაწერა.

„რობესპიერში“ წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობისა  
და იდეალისტური ილუზიებისაგან ძირითადად განთავისუფლებულმა  
როლანმა ახლებურად შეაფასა საფრანგეთის რევოლუცია და მისი  
ეპოქა.

მწერალი აღნიშნავდა, რომ ამ დრამაში, ისევე როგორც თავისი  
„რევოლუციური თეატრის“ სხვა დრამებში, ის უფრო ხასიათების  
მორალური სიმართლისაკენ მისწრაფოდა, ვიდრე ფაქტიური სი-  
ნამდვილისაკენ, თუმცა მაინც ფაქტიურ სინამდვილეს უფრო მეტ  
ურადლებას აქცევდა.

რომენ როლანმა რწმენა გამოთქვა, რომ ისტორიის ჭეშმარიტი  
სახე „რობესპიერში“ უფრო სწორადაა მოცემული, ვიდრე მის  
„დანტონში“; რომელიც გაცილებით ადრე დაიწერა.

პიესის მოქმედება გაშლილია 1794 წლის 5 აპრილიდან ამავე  
წლის 28 ივნისამდე, დანტონის სიკვდილათ დასჯის დღიდან იაკო-  
ბინელთა დიქტატურის დამხობამდე. ნაწარმოები იწყება დრამატუ-  
ლი ეპიზოდთ:

...რახარუხით მიგორავს საშინელი ურიკა სენ-ონორეს ქუჩაზე,  
იმ სახლის ახლოს, რომელშიც ცხოვრობს მაქსიმილიან რობესპიერი.

გაფითრებული და შეშფოთებული უსმენს რობესპიერი ბრბოს  
ხმაურს.

ეს — დანტონი და დემულენი მიჰყავთ გილოტინაზე.

— რობესპიერ, — ყვირის დანტონი.

— შენ აქ ხარ, ამ სახლში, შენ დაიმალე... მკვლელო! და შორს  
წასული ურიყიდან მოისმის დანტონის თითქოს გამოსათხოვარი ხმა.

— რობესპიერ, მე ვწვები საფლავში, შენც ეს დღე მოგელის...

— „რობესპიერი“ მდიდარია სახეებითა და იდეებით. განსაკუთ-  
რებით ამაღლევებელია მთელი რიგი ცენები და აღგილები დრამი-  
სა. ასე, მაგალითად, დაჭრილი რობესპიერი მაგიდაზე წევს და

სისხლისაგან იცლება. ამ მწარე მომენტებში როლანი ხატავს რო-  
ბესპიერის განვლილი ცხოვრების სურათებს: რობესპიერი ბაჟვი-  
უდედოდ რომ იზრდებოდა; კოლეჯის მოსწავლე მორცხვი ყმაწვი-  
ლი, გაცრეცილი ხალათით და დახეული ფეხსაცმელებით რომ და-  
დიოდა. შემდეგ მწერალი გვიჩვენებს რობესპიერს უან უაკ რუსოს  
საფლავთან დაჩოქილს, ბასტილის ასაღებად მიმავალი ხალხის მა-  
სების მაცერალს, ეროვნული კრების დეპუტატს და სხვ.

რობესპიერის ხმა კვლავ მტკიცეა და ძლიერი, ის ხელგაწვდილი  
მიმართავს ხალხს:

— ო, ხალხო, ჩემო ხალხო, ჩემო ერთადერთო მეგობარო! რაც  
უნდა მოხდეს, განუყრელი დავრჩებთ! ბედნიერება და უბედურება,  
მხიარულება და ტანჯვა, სიცოცხლე, სიკვდილი, — არაუერი არ  
მსურს ისეთი, რაც აგრეთვე შენიც არ არის! შენი სიყვარული და  
შენი წდობა ერთადერთი აზრია ჩემი ცხოვრებისა. ნუ მომაკლებ  
მათ! მე შენ გვკუთვნი! მე ასე დადხანს ვიბრძოლე შენთვის! ახლოვ-  
დება ღამე. მე დავიქანცე. ნუ მიმატოვებ.

ამის შემდეგ ვხედავთ რობესპიერის, კუტონის და სენ-უიუსტის  
სიკვდილით დასჯის დრამატულ სცენას. გაისმას „მარსელიოზის“  
ჰანგები, ისინი თანდათანობით გადადიან გამარჯვების ჰიმნში —  
„ინტერნაციონალში“, რითაც მთავრდება ნაწარმოები.

„რობესპიერი“ არის რომენ როლანის შესანიშნავი ისტორიული  
დრამა, ღრმა იდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოები. იგი მიძღვნი-  
ლია სიფხიზლისა და სიმამაცისადმი. ამ დრამამ განსაკუთრებული  
მნიშვნელობა მოაპოვა სახალხო ფრონტისათვის ბრძოლის წლებში,  
მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაო-  
ბისას.

\* \* \*

რომენ როლანის შემოქმედების პირველი პერიოდის მთავარი  
ნაწარმოები არის რომანი-ეპოპეა „უან კრისტოფი“. შეიძლება  
ათქვას, რომ ეს ეპოპეა პირველი მსოფლიო ომამდელი პერიოდის  
როლანის შემოქმედების მწვერვალია.

„უან კრისტოფი“ შედგება ათი წიგნისაგან და დაყოფილია სამ  
ნაწილად. პირველ ნაწილს ეწოდება „უან კრისტოფი“; ამ ნაწილს  
შეადგენს სერია წიგნებისა: „განთიადა“, „დილა“, „ყრმობა“, „ამ-  
ბოხება“. მეორე ნაწილს ეწოდება „უან კრისტოფი პარიზში“; ამ ნა-  
წილს შეადგენს სერია წიგნებისა: „ბაზრობა მოედანზე“, „ან-

ტუანეტა“, „სახლში“. მესამე ნაწილს ეჭოდება „მგზავრობის დასას-  
რული“; იგი შედგება წიგნებისაგან: „მეგობრები“, „უწვავი მაყვ-  
ლოვანი“,<sup>1</sup> „ახალი დღე“.

რომანი იძექდებოდა უურნალ „ორკვირეულში“ — 1902 წლის  
თებერვლიდან 1912 წლის ოქტომბრამდე, ე. ი. ათი წლის განმავლო-  
ბაში. 1913 წელს „უან კრისტოფმა“ მიიღო აკადემიის პრემია. ნა-  
წარმოებმა იმთავითვე მოპოვა პოპულარობა მკითხველთა ფართო  
წრეებში.

მთავარი თემა, რომელზეც აგებულია „უან კრისტოფი“, არის ხე-  
ლოვანისა და ხელოვნების ბეღი ბურუუაზიულ საზოგადოებაში. ამ  
თემამ ბევრი საზოგარეთოელი მწერლის ყურადღება მიიპყრო. ასე,  
მაგალითად, ამ პრობლემას მიუძღვნეს თავაანთი ნაწარმოებები ამე-  
რიკელმა მწერლებმა თეოდორ დრაიზერმა — „გენიოსი“, ჯეკ ლონ-  
დონმა — „მარტინ იდენი“, გერმანელმა მწერალმა თომას მანმა —  
„სიკვდილი ვენეციაში“ და სხვებმა.

რომენ როლანმა „უან კრისტოფშა“ ნიჭიერი ხელოვანი დაუპი-  
რისპირა გადაგვარებულ ბურუუაზიულ საზოგადოებას. ამხილა  
ფრანგული იმპერიალიზმი, მაგრამ მან ვერ შეძლო ბოლომდე სწო-  
რად გადაეწყვიტა ხელოვანისა და ხალხის ურთიერთობის საკითხი.

ბალზაკმა „ბურუუაზიული საზოგადოების ერთ-ერთმა საუცხოო  
მცოდნემ“ (მ. კალანინი), თავის „ადამიანურ კომედიაში“ მთელი ამ  
საზოგადოების რეალისტური ისტორია წარმოგვიდგინა, ემილ ზო-  
ლამ თავის „რუგონ-მაკარებში“ მეორე იმპერიის დროინდელი საფუ-  
რანგეთის სოციალურ ურთიერთობათა სურათი დახატა; მათი ჯან-  
საღა ტრადიციების განმგრძობმა რომენ როლანმა „უან კრისტოფში“  
მოგვცა ხელოვანის ცხოვრების ისტორია იმპერიალიზმის ეპოქაში.

პირველი ოთხი წიგნი „უან კრისტოფისა“ („განთიადი“, „დალა“,  
„ყრმობა“, „ამბოხება“) მოგვითხრობს მთავარი გმირის „უან კრის-  
ტოფის“ ბავშვობისა და ყრმობის შესახებ. რომანის ამ ნაწილში აშ-  
კარად ჩანს ლევ ტოლსტოის წიგნის — „ბავშვობა, ყრმობა და ჭა-  
ბუკობა“ — გავლენა რომენ როლანზე. ალწერილია უან კრისტოფის  
დაბადება ღარიბ პროვინციულ ოჯახში. მისი მშობლები გერმანე-  
ლებია. თერთმეტი წლის უან კრისტოფი იმდენად ნიჭიერია, რომ  
ას ყველა ინსტრუმენტზე უკრავს, მას გასაოცარი მუსიკალური სმე-

<sup>1</sup> фр. Le Buisson ardent, რუს. Неопалимая купина.

ნა აქვს. უან კრისტოფერი ძლიერად განიცადა თავისი პირველი მას-წავლებლის ძვირფასი ბაბუის გარდაცვალება.

უან კრისტოფი თანდათანობით გრძნობს, რომ ბურჟუაზიულ სა-ზოგადოებაში ცხოვრება ტანჯვა-წვალებაა, საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა არსებობასათვის, და მას თვალი აეხილება ბევრ რამეზე, პირველ რიგში იმაზე, რომ საჭიროა იყო ადამიანი. უან კრისტოფს ცხოვრება წარმოდგენილი აქვს მოქმედებისა და შემოქმედების ასპა-რეზად. მას ჰელონია, რომ, რაღგან ნიჭიერი ხელოვანია და დიდი შე-მოქმედებათი შესაძლებლობანი აქვს, ამით იგი კავშირს დამყარებს ცხოვრებასთან და ხელს შეუწყობს კაცობრიობის წინსვლას; ის ილუზიებით, ოცნებებით ცხოვრობს. შემდეგ რწმუნდება, რომ მის სამშობლო გერმანიაში სულის შემხუთველი ატმოსფეროა, აქ ნი-ჭიერ, პატიოსან ადამიანს არ გაეძლება. ის თავის ირგვლივ ეგოიზმს, სიცარიელეს, გაუტანლობას ხედავს. უან კრისტოფი გადაწყვეტი დატოვოს გერმანია და წავიდეს საფრანგეთში.

რომანის მეორე ნაწილის მიხედვით, უან კრისტოფს უკვე პა-რიზში ვხედავთ. აქ ის შეხვდება თავისი ბავშვობის მეგობარს ოტო დინერს, რომელმაც მას იმედები გაუცრუა. შემდეგ უან კრისტოფი გაიცნობს სილვერ კონს, რომელმაც მას თავშესაფარი მისცა. სილ-ვერ კონი უან კრისტოფს გააცნობს პარიზის საზოგადოების სხვადა-სხვა წრეებს, კერძოდ ხელოვნებისა და ლიტერატურას წარმომად-გენლებს. უან კრისტოფი მალე დარწმუნდება, რომ სილვერ კონი და მისთანები ხელოვნებისა და ლიტერატურის სახელით მოვაჭრე აღა-მიანებია. ის ხედავს, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიული კულტუ-რაც ისეთსავე გადაგვარებას, გახრწნას განიცდას, როგორც გერმა-ნიის ბურჟუაზიული კულტურა. უან კრისტოფი აქაც ამჩნევს „გო-ნებრივ პრისტუციას“. მწერლის ყურადღებას არაფერი არ ეპა-რება, ის თავისი მახვილი თვალით კველაფერს ნათლად ხედავს. მზის სანათლეზე გამოაქვს იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯი, მანკიერი მხარეები, სასტიკად კიცხავს დეგრა-დაციის გზაზე დამდგარ ბურჟუაზიულ წყობილებას.

უან კრისტოფის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. ის გაიცნობს და დაუმეგობრდება ფრანგ ენთუზიასტ პოეტს ოლავიე უანენს, რო-მელიც უან კრისტოფის მსგავსად გატაცებულია ხელოვნებითა და ლიტერატურით. ის უხსნის უან კრისტოფს, რომ ყველაფრის ძალა ხალხშია; რასაც ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ, რაც ხშირად გულს

აგვიყრის ხოლმე საერთოდ ცხოვრებაზე, წარმავალია, ნაშლილი  
საფრანგეთი ის კი არაა, რომელიც ინგრევა და იღუპება, არამედ ის,  
რომელიც ხალხის გულშია და რომელსაც მომავალი ეკუთვნის. ასე-  
თვე წარმოდგენა შეექმნება უან კრისტოფსაც თავისი სამშობლო  
გერმანიის შესახებ. გერმანელი უან კრისტოფისა და ფრანგი ოლი-  
ვიე უანენის დამეგობრება მწერლის ჩანაფაქრის მიხედვით გერმანე-  
ლი და ფრანგი ხალხის დამეგობრებისათვის ბრძოლას ნიშნავს. რო-  
ლანს უნდა, რომ ისტორიულად მოქიშებე ეს ორი ხალხი ერთმანეთ-  
თან დაახლოოს და დაკავშიროს. შემდეგ უან კრისტოფს აგრეთვე  
იტალიელი ქალი გრაცია დაუმეგობრდება. ამნაირად, რომენ როლა-  
ნი ინტერნაციონალურ სოლიდარობაზე ფიქრობს. აქვე უნდა აღვნიშ-  
ნოთ, რომ ყოველივე ეს როლანის პაციფისტური ინტერნაციონა-  
ლიზმის გამოხატულებაა, რასაც საერთო არაფერი აქვს პროლეტა-  
რულ ინტერნაციონალიზმთან.

რომანის შემდგომ თავებში უან კრისტოფსა და ოლივიე უანენს  
ვხედავთ მუშებს შორის. ისინი უახლოვდებიან მუშათა წრეებს,  
ეცნობდან სოციალისტურ იდეებს, მონაწილეობენ მუშათა დემონ-  
სტრაციებში. პირველი მასის დღესასწაულის დღეს ოლივიე უანენი  
დაიღუპა ქუჩაში ბრძოლის დროს. უან კრისტოფი სხვა ბარიკადაზე  
იბრძოდა, ის ვერ მიეშველა მეგობარს. მარტოდ დარჩენილი უან  
კრისტოფი შვეიცარიაში გაიქცევა და თავს შეაფარებს ექიმ ბრაუ-  
ნის. ოჯახში. აქედან უან კრისტოფი ჯერ ალპებში მიდის დასასვე-  
ნებლად, შემდეგ იტალიაში, სადაც ის გაიცნობს და დაუმეგობრდე-  
ბა გრაციას. ამ დროს უან კრისტოფს კონცერტების გასამართავად  
აწვევენ პარიზში. ის უბრუნდება საფრანგეთის დედაქალაქს, საი-  
დანაც თავის შთაბეჭდილებებს სწერს იტალიელ ქალს გრა-  
ციას.

მეათე წიგნში „მომავალი დღე“, როლანი აღწერს უან კრისტო-  
ფის ცხოვრების დასასრულს. მოხუც უან კრისტოფთან იყრიბება  
ჰუმანისტების შემცველელი ახალი თაობა. აქა დაღუპულ ლავაიეს  
ვაჟი უორჟი, გარდაცვლილი გრაციას ქალიშვილი ავრორა და პოე-  
ტი ემანუილი. უან კრისტოფი ბურჟუაზიული საზოგადოებასადმი  
სიძულვილს ამთავრებს მასთან შერიგებით.

„უან კრისტოფს“ ევროპული ცხოვრების ენციკლოპედიას უწოდე-  
ბენ. ამ დიდ რომან-ეპოქეაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს  
მწერლას კრიტიკული ჩეალიზმი, რომლის საშუალებითაც იგი გზა-

დაგზა დაუნდობლად აშეკარავებს ბურეუაზიული საზოგადოების, ბურეუაზიული კულტურის სიყალბეს, სიმახინჯეს და გადაგვარებას.

რომენ როლანი გაუჩინდის სოციალურ, კლასობრივ წინააღმდეგობათა ჩვენებას. ის ფიქრობს ბურეუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრებას მშვიდობიან განვითარებაზე. მისთვის ნაწარმოებში გამოყვანილი გმირები ამა თუ იმ კლასის წარმომადგენლები კი არ არიან, არამედ „წმინდა ადამიანურობისა“. ისინი სიმპათიურად არიან განწყობილი მუშათა მოძრაობასადმი, მაგრამ ჭრინციპულად არ ეხმარებიან მას, ისინი ვერ ამაღლდნენ კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაგებამდე, მეცნიერული სოციალიზმის იდეების ჭრამარიტ გაგებამდე. უან კრისტოფი ვერ პოულობს გამოსავალს თავისი დროის წინააღმდეგობებიდან. ის ვერ ახერხებს კავშირი გასწყვიტოს კაპიტალისტურ საზოგადოებასთან და განმარტოებულ მებრძოლად რჩება.

ყველაფერი ეს კი იმით უნდა აიხსნას, რომ როლანი პირველი ჸსოფლაო ომის წინა წლებში პაციფისტურ პოზიციაზე იდგა, მწერლის ჸსოფლმხედველობა წინააღმდეგობებს შეიცავდა, მისი ჰუმანიზმი წვრილბურეუაზიული შეზღუდულობით ხასიათდებოდა.

მიუხედავად ასეთი და სხვა ნაკლოვანებებისა, რომენ როლანის „უან კრისტოფი“ შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებია. მას დიდი იდეურ-შემეცნებითი ღირებულება აქვს. ეს რომანი იძლევა იმის ნათელ სურათს, თუ როგორ გამანადგურებლად მოქმედებს ბურეუაზიული წყობილება ხელოვნებაზე, როგორ მტრულადაა განწყობილი იგი ნიჭიერა ხელოვანისადმი.

დარკინულ საპყრობილები ყოფნისას საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი გოეთეს, ჰაინეს, ანატოლ ფრანსის ნაწარმოებებთან ერთად გატაცებით კითხულობდა „უან კრისტოფს“, მორის ტორეზა წერს: „უან კრისტოფი“ ჩემი მეგობარი იყოო“.

დღეს, როცა ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური წრეები ცდილობენ ევროპაში ახალი ომის მომზადებას და ამით სერაოზულ საფრთხეს უქმნიან ევროპასა და ევროპის ხალხებს, საერთოდ მსოფლიო მშვიდობის საქმეს, — ახლებურად გაისმის რომენ როლანის სიტყვები „უან კრისტოფიდან“: „ევროპა განსაცდელშია, საჭიროა ბრძოლა მის გადასარჩენად. ჩვენი სამშობლო, ევროპული სამშობლო საფრთხეშია. ყველანი ფეხზე დადექით, დაი-

ცავათ იგი!“ ეს სიტყვები იწერებოდა პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში. საკმარისია მოვიგონოთ იმ ომისა და ივრეთვე მეორე მსოფლიო ომის შედეგები, რომ გასაგები გახდეს დიდი ფრანგი პურელის წინათგრძნობა და მნიშვნელობა მისი მგზებარე მოწოდებისა მოის. გამჩაღებელთა წინააღმდეგ აუცილებელი ბრძოლისაკენ.

1914 წელს როლანმა დაწერა „კოლა ბრენიონი“, რომელიც გამოვეყნდა 1918 წელს. ესაა ხალხური იუმორით გაფლენთილი რეალისტური მოთხოვნა. როლანი არაფერს არ იშურებს იმისათვის, რომ, რაც შეიძლება რეალისტური ფერებით დახატოს ხალხადან გამოსული გმირის კოლა ბრენიონის სიცოცხლითა და სიყვარულით აღსავსე ცხოვრება. კოლა ბრენიონი სიცოცხლისუნარიანი, ცხოვრებისმოყვარულია ადამიანია. იგი თავისი დროის სამხედრო ლაშქრობებისა და აჯანყებების მოწმე და მონაწილეა.

ავტორს ამ მოთხოვნით წარსულში გადავყვაროთ, კერძოდ ჰუმანიზმის, რენესანსის ეპოქაში. კოლა ბრენიონი ხალისიანა პირველია, ის ვაჟკაცურად იტანს ყოველგვარ გაჭირვებას, სძლევს სიძნელეებს. კოლა ბრენიონი არა მარტო ნიჭიერი მეჩუქურობები (ხეზე ამომჭრელი), არამედ მეამბოხე, მამაცი და მოქეიფე ადამიანიც. ამ მოთხოვნაში ჩანს აბალეს გავლენა როლანზე. „კოლა ბრენიონი“ საუცხოო რეალისტური ნაწარმოებია. იგი ახალი, მაღალი ეტაპის მაჩვენებელია რომენ როლანის შემოქმედებაში.

მაქსიმ გორკი კოლა ბრენიონს შესანიშნავ მოთხოვნად თვლიდა. იგი მისი საყვარელი წიგნი იყო. საბჭოთა ახალგაზრდობა ინტერესით კითხულობს ამ ნაწარმოებს, კოლა ბრენიონში ის ხედავს შრომისმოყვარე ხელოვანს, თავისი პროფესიით გატაცებულს, მხნესა და თავდადებულ ადამიანს.

\* \* \*

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში რომენ როლანს პაციფისტური პოზიცია ეკავა, მაგრამ ის მალე ჩაება პოლიტიკურ ბრძოლებში და აქტიურად დაიწყო თავისი ანტიამპერიალისტური მოღვაწეობა. როლანი ბეჭდავს სტატიებს, რომლებშიც ის გმობს ომს, აშკარავებს მის საშინელებას, ომს კაცობრიობის უდიდეს უბედურებად თვლის.

ასეთ მომენტებში რომენ როლანი კვლავ მიაპყრობს ოვალს რუსეთს, რუს ხალხს, რუსულ კულტურას. რომენ როლანმა მაღალი შეფასება მასცა მაქსიმ გორკის გამოსვლას ომის წინააღმდეგ და მისალმება გამოუგზავნა მას; ფრანგი მწერალი აღფრთოვანებული იყო მაქსიმ გორკის დიალი გონებით, კაცობრიობისაღმი მისი მგზნებარე სიყვარულით.

რომენ როლანი აქვეყნებს სტატიების კრებულებს: „შეხლა-შემოხლის ზემოთ“ (1915), „ხალხებს, რომელთაც ხოცავენ“ (1916). და სხვ., რომლებშიც მწერალი მოუწოდებდა მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს დარაზმულიყვნენ მომის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამისათვის გამოეყენებინათ მთელი თავიანთი ძალლონე. შემდეგ იმპერია როლანის მხატვრული ნაწარმოებები: ფსიქოლოგიური შოთხრობა „პიერი და ლუსი“ (1918), „ლილიული“ (1919) და „კლერამბო“ (1920).

შოთხრობა „პიერი და ლუსი“ გაშლილია პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელი პერიოდის ფონზე, აღწერალია ამ დროის (ე. ი. 1918 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი) საფრანგეთის რეალური ცხოვრების ამბები. გადმოცემულია პიერისა და ლუსის სიყვარულის ისტორია. ამ ორი შეყვარებული ახალგაზრდის ბელი ტრაგიკულია. გერმანელთა შორსმსროლელ ქვემხთა უუმბარები, ნამს სხვრევები მოხვდა ეკლესიას და დაანგრა იგი, პიერი და ლუსი მოხვდნენ ამ ეკლესიის ნანგრევებქვეშ და დაიღუპნენ.

როლანის აზრით კაპიტალისტური წყობილება ომის გაჩაღების წყაროა. კაპიტალისტების მილიტარიზმა გამოიწვაა ომი. ომმა კი სიცოცხლეს გამოასალმა ორი მშვენიერი ახალგაზრდა. ამნაირად, ნამდვილი სიყვარული ვერ ხარობს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, აქ ყველაფერი წინასწარ განწარულია დასაღუპვად.

მართალია, მწერალი მიუთითებს ომის მთელ საშინელებებზე, მის შიზეზებზე, მაგრამ მას ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს ნამდვილი რეალური გამოსავალი ომიდან. ის ამბებსა და მოვლენებს ცალკეულ პიროვნებას უპირისპარებს, პიროვნებას, რომელიც ჩაკეტილია თავის თავში. შოთხრობის „პიერი და ლუსი“ მთავარი ნაკლი ისაა, რომ პიერის სახე განმარტოებული ინდივიდუალსტის სახეა.

რომანში „კლერამბო“ როლანი ხატავს ბურჟუა ინტელიგენტის ტიპს. კლერამბო არის პაციფისტი და დემოკრატი მწერალი. ის ჯერ ჰუმანისტურ და დემოკრატიულ იდეებს ქადაგებს, შემდეგ ომის

პროპაგანდას ეწევა, ხოლო როცა შვილი ფრონტზე დაეღუპება, ომის წინააღმდეგ გამოდის. მას ბრალს სდებენ სახელმწაფო დანაშაულში და საზოგადოებრივი უშიშროების დარღვევაში, კიცხავენ გაზეთში, შემდეგ პასუხისებებაში აძლევენ, მაგრამ ვიდრე მს იქ წარდგებოდეს, ომის საწინააღმდეგო იდეების ქადაგებისათვის მას ქუჩაშა კლავენ.

თუ ადრე, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში, რომენ როლანდა მთლიანად ვერ განიცადა და ვერ გაიაზრა კაპიტალისტური წყობილებას გადავარება და გახრწნა, ომის დროს ის დარწმუნდა, რომ ომს კაპიტალისტები აჩალებენ, რომ მას აურაცხელი უბედურება მოაქვს ხალხისათვის, რომ ბურუუაზიულ საზოგადოებაში ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგანია, მაგრამ რომენ როლანი ამ დროს ჯერ კადევ ვერაა იქამდე ამაღლებული, რომ გაარჩიოს სამართლიანი ომი უსამართლო ომისაგან, ის საერთოდ უარყოფს ყოველგვარ ომს. მის-თვის ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველია, ის ვერ მიდის ომის კლასობრივ ხასიათის გაგებამდე.

\* \* \*

დადი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გარდატეხა მოახდინა რომენ როლანის მსოფლმხედველობასა და შემოქმედება-ში. ის თანდათანობით ჩამოსცილდა ბურუუაზიული ჰუმანიზმისა და აბსტრაქტული პაციფიზმის პოზიციებს და საბოლოოდ მოვიდა საბჭოთა კავშირთან.

1919 წელს ანრი ბარბიუსმა ჩამოაყალიბა მწერალთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელსაც ეწოდა „Clarté“ („სინათლე“).

მასში რომენ როლანი აქტიურ როლს ასრულებდა. ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ: ანატოლ ფრანსი, პერბერტ უელსი, თომას ჰარდი, პოლ ვაიან-კუტიური, სტეფან ცვაიგი და სხვ. ამ ჯგუფმა მნაშვნელოვანი როლი შეისრულა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ჯგუფი უშვებდა ლატერატურულ უურნალ „კლარტეს“, რომელიც გამოდიოდა 1919 წლიდან 1928 წლამდე. უურნალს 1919 წლიდან 1924 წლამდე მეთაურობდა ანრი ბარბიუსი.

1922 წლის 15 ნოემბერს დიდა ლენინმა ასეთი მისალმება გაუგზავნა „Clarté“-ს ჯგუფს:

„ძვარფასო მეგობრებო!

ვსარგებლობ შემთხვევით მოგიძლვნათ საუკეთესო სალამი. მე მძიმე ავადმყოფი ვიყავი და ერთ წელზე მეტია არ შემეძლო მენახა

თქვენი ჯგუფის არც ერთი ნაწარმოები. ვიმედოვნები, რომ თქვენი ორგანიზაცია „des anciens combattants<sup>1</sup> განაგრძობს არსებობას, იზრდება და მტკიცდება არა მარტო რიცხობრივად, არამედ სულიერადაც იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის გაღრმავებისა და გაფართოების მხრივ. ასეთი ომის წინააღმდეგ ბრძოლას ღირს შესწიროს კაცმა სიცოცხლე, ამ ბრძოლაში უნდა იყო უღმობელა, ყველა სოფიზმი მის დასაცავად უკანასკნელ კუნჭულამდე უნდა დევნონ“.<sup>2</sup>

რომენ როლანმა საბჭოთა კავშირის სახით პოვა მეორე სამშობლო, რომელსაც მან თავისი ცხოვრება და შემოქმედება დაუკავშირა. როლანი მაღალი წარმოდგენის იყო რუსულ კულტურაზე. ის ამბობდა: „რუსული აზროვნება მსოფლიო აზროვნების ფანგარდია“.

რომენ როლანი აღფრუთოვანებით გამოეხმაურა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ის წერდა:

„მე დავიცავ იმ გმირულ საქმეს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. მე ჩემი, როგორც ინტელიგენტის, მოვალეობა მუდამ ხალხისათვის სამსახურში მესმოდა. მე ბავშვობიდანვე მიტაცებდა ხალხური ხელოვნება. მე გატაცებული ვიყავი საზოგადოების მაღალა წრეებისა და მათი ხელოვნების ტოლსტოისტური კრიტიკით. მუდამ სამშობლოს დიდებისათვის ვიბრძოდი და ომის მწარე დღეებში მთელი მსოფლიოს გასაგონად გაღმოვისროლე სევდიანა ლოზუნგი: „ხალხებს, რომელთაც ხოცავენ“.

როგორც კი გავრგე ცნობა რუსეთის რევოლუციის გამარჯვების შესახებ, გულწრფელად მივესალმე ამ დიდ ფაქტს და გადაჭრით ჩავდეჭი რევოლუციის მეგობართა რიგებში. ამ მსოფლიო ისტორიული მოვლენით შევძელი დამემსხვრია ხიდები, რომლებიც წარსულთან მაკავშირებდა. მე აღარასოდეს დავუბრუნდები წარსულს“.

მწერალი ასე მიმართავს საბჭოთა ხალხს: „მიგულეთ მუდამ თქვენთან მახლობელ მეგობრად, და ვიაროთ ერთად ნათელი მომავლისაკენ“. სხვა ადგილას როლანი აღნიშნავდა, რომ „ოქტომბრის დღესასწაული — ეს არის დღესასწაული მთელი ქვეყნის ყველა თავისუფალი ადამიანისა. ეს ჩვენი დღესასწაულია, სულით და გულით ვუერთდები მას“.

<sup>1</sup> ომის ყოფილი მონაწილეებისა.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 513.

შემდეგ როლანი იმის შესახებ ლაპარაკობს, თუ როგორ შევიდა  
ის კომუნიზმთან, რომელიც, მისი აზრით, ერთადერთი გზაა გონიერი  
ბისა და სამართლიანობისათვის. მწერალი საბჭოთა კავშირს უწოდებს „მძლავრი სინათლის კერას“ და დასძენს: „ჩემო საბჭოთა კავ-  
შირელ ძმებო, გმადლობთ, რომ ჩემი სიცოცხლის მშუქრის უამსე  
ს მზე მიღლვენით; როგორც ის, ვინც დანტეს ჯოჯოხეთის უკანასკნელ სტრიქონებში ბნელი ხეობიდან გამოსვლისას კვლავ ხელავს  
ბრწყინვალე ვარსკვლავებს — „ჩევნ გამოვედით იქიდან და კვლავ  
ვიხილეთ ვარსკვლავებიო“ — მეც პესიმიზმით გაეღენთილი ახალ-  
გაზრდობისა, უთანამებრძოლოდ მკაცრი ბრძოლით აღსავსე ცხოვ-  
რების შემდეგ, კვლავ ვპოვე თავისუფალი არე, სიცოცხლის სიხა-  
რული, ის „ახალი დღე“, რომელიც სიკვდილის წინ იგრძნო, მაგრამ  
ვერ დაინახა უან კრისტოფმა, და ჩემი მოხუცებულობა, თქვენი მეო-  
ხებით განთიადად იქცა“.

მორის ტორეზი წერს: „რომენ როლანი მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყო. პირველ მსოფლიო ომში იგი „შეხ-  
ლა-შემოხლის ზემოთ“ იდგა, მაგრამ ერთ-ერთმა პირველმა გამოუცხადა მხურგალე თანაგრძნობა რუსეთის რევოლუციას. იგი მიემხრო  
დამონებულ ხალხებს კოლონიური ჩაგრის წინააღმდეგ ბრძოლაში. რომენ როლანი ყველა პატიოსან ადამიანს მოუწოდებდა გაერთია-  
ნებისაკენ!“

ამნაირად, საზღვარგარეთული პროგრესული ლიტერატურის სხვა  
დიდ წარმომადგენლებთან, ანრი ბარბიუსთან, მარტინ ანდერსენ  
ნექსესთან, ჰაინრიხ მანთან, თეოდორ დრაიზერთან ერთად, რომენ  
როლანი გახდა საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის ერთგული მე-  
გობარი, მისი მიღწევებისა და წარმატებების მგზნებარე პროპაგან-  
დისტი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის როლანის  
შესანიშნავი ნაწარმოებია რომანი-ეპობეა „მოხიბლული სული“ (1922—1933). იგი შედგება წიგნებისაგან: „ანეტა და სილვია“, „ზაფ-  
ხული“, „დელა და შვილი“, „ერთი ქვეყნის სიკვდილი“, „დაბადება“ (ეს უკანასკნელი ორი წიგნია).

ამ რომანში რომენ როლანმა სცადა ახლებურად დაეყენებია სა-  
კითხები და ახლებურადვე გადაეწყვიტა ისინი. როლანს სურდა დაე-

ხატა სახე რევოლუციური სულისკვეთების მქონე თანამედროვე ქალისა. ამ მხრივ აღსანიშნავია „მოხიბლული სულის“ მთავარი გმირი მებრძოლი ქალი ანეტა რივიერი. მწერალი უკვე რევოლუციური ჰუ მანიზმის პოზიციებადან უყურებს სინამდვილეს. მისი ანეტა რივიერი აქტიურად იბრძვის კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ; გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა ბევრ რამეს ასწავლის ამ ქალს, ზრდის მის რევოლუციურ შეგნებულობას.

ანეტა რივიერის ვაჟი მარქ რივიერი აგრეთვე მნიშვნელოვანი მხატვრული სახეა. მას სძულს ბურუუაზიული საზოგადოება. ის უახლოვდება მუშათა მოძრაობას და სოციალისტი ხდება, მარქ რივიერი მგზნებარე პუბლიცისტია, ის კიცხავს ფაშისტებს, ებრძვის მათ, ყოველივე ამის გამო იგი ფაშისტური ტერორის მსხვერპლი ხდება. შვილის ასეთმა ტრაგუდულმა დაღუპვამ ანეტა რივიერს კიდევ უფრო მეტად შეაძულა კაპიტალისტური წყობილება. ის კიდევ უფრო მეტი გატაცებით ჩაეხა რევოლუციურ ბრძოლაში ბურუუაზის წინააღმდეგ და კიდეც შესწირა მას თავისი საცოცხლე.

რომენ როლანი „მოხიბლულ სულში“ აშიშვლებს იმპერიალისტური წრეების რეაციულ პოლიტიკას. მწერალი აქ რევოლუციურ ჰუმანიზმს ქადაგებს, ის ილაშქრებს ომის წინააღმდეგ, რაც, მწერლის აზრით, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს, რადგან ფაშიზმი — ეს ომია. რომანის ბოლო თავები: „ერთი ქვეყნის სიკვდილი“ და „დაბადება“ თავისებურ მძაფრ პოლიტიკურ პამფლეტს წარმოადგენენ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ბურუუაზიულ ევროპაზე; მათში როლანი დაუნდობლად ააშკარავებს იმპერიალიზმის მტაცებლურ ბუნებას.

მწერლის ჩანაფიქრით ანეტა რივიერი ახალი კაცობრიობის დედის სახე უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ რომენ როლანმა მიბაა მაქსიმ გორგის შესანიშნავ რევოლუციურ რომანს „დედას“, მაგრამ უნდა ითქვას, რომ როლანმა ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი სათანადო ვერ განახორციელა. ახალი კაცობრიობის დედის შესანიშნავი სახის დახატვა ძსტორიამ ბედად არგუნა მაქსიმ გორგის, მისი რომანი „დედა“ მსოფლიო მნიშვნელობის უკვდავი მხატვრული ნაწარმოებია.

\* \* \*

რომენ როლანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა და ბრძო-

ლა ომისა და მისი გამჩალებლების წინააღმდეგ რომენ როლანი აქტიურად იდგა მშვიდობისა და დემოკრატიის სადარაჯოზე, ის მოუწოდებდა პროგრესულ კაცობრიობას გაერთიანებულიყო იმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად.

XIX საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა გამწვავებული ხასიათი მიიღო. ამ კრის იმპერიალიზმის წინააღმდებობებმა სკიდურეს საზღვრამდე მიაღწიეს, მომაკვდავმა ბურჟუაზიამ გამოსავალი ამ ჩიხიდან ფაშიზმში პოვა. რომენ როლანმა ფართო შუშაობა გააჩარა იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1926 წელს რომენ როლანმა ანრი ბარბიუსთან ერთად შექმნა „ფაშიზმთან ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტი“, რომელმაც თავისი გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

1932 წელს რომენ როლანის, ანრი ბარბიუსის და საზღვარგარეთის პროგრესულ მწერალთა და მეცნიერთა ინიციატივით ამსტერდამში გაიმართა ომის საწინააღმდეგო კონგრესი. კონგრესზე მიწვეულ იყვნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებიც მაქსიმ გორკის მეთაურობით, მაგრამ პოლანდის მთავრობამ საბჭოთა დელეგატებს ამსტერდამში ჩასვლის ნება არ მისცა. ამ სამარცხვინო ფაქტმა კანონიერი აღშფოთება გამოიწვია მსოფლიო პროგრესულ კაცობრიობაში. მაქსიმ გორკის მიერ კონგრესზე წარმოსათქმელი სიტყვა შემდეგ ცალკე ბროშურად დაიბეჭდა სათაურით: „ომის საწინააღმდეგო კონგრესის დელეგატებს“ (სიტყვა, რომელიც არ წარმოოქმულა), მასში მაქსიმ გორკი ნათლად ააშკარავებს ომის გამჩალებელთა ბნელ საქმიანობას, მათ აგრესიულ ზრახვებს. კონგრესზე შეიქმნა ომის საფრთხეს წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივი კომიტეტი, რომელშიც ერთხმად იქნა არჩეული მაქსიმ გორკი.

სწორედ ამ წელს გამოაქვეყნა რომენ როლანმა თავისი სტატიბის კრებული: „ახალი მსოფლიოს დასაცავად“, რომელშიც ფრანგი მწერალი მოუწოდებდა ყველა პატიოსან მოქალაქეს სიფხოზლისაკენ. ის წერდა: „სამშობლო საფრთხეშია... ჩვენს ინტერნაციონალურ სამშობლოს საბჭოთა კავშირს ემუქრებიან... ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს, შევექმნათ მშვიდობის ფერხული“.

1935 წელს რომენ როლანმა ანრი ბარბიუსთან ერთად მოამზადა კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესი პარიზში. ამ კონგრესშიც დიდი მუშაობა გასწია ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. კონ-

გრესს ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირიდან: ალექსეი ტოლსტოი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ვსევოლოდ ივანოვი, ილია ერენბურგი, ფეოდორ პანფეროვი, იაკუბ კოლასი, საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, მოწინავე ფრანგული ლიტერატურის წარმომადგენლები: ანრი ბარბიუსი, ლუი არაგონი, უან-რიშარ ბლოკი, მოწინავე გერმანელი მწერლები: ჰაინრიხი მანი, იოჰანეს ბეხერი, ან ზეგერსი, პროგრესული დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ-ნექსე.

მაქსიმ გორკის ავადმყოფობის გამო საშუალება არ ჰქონდა დასწრებოდა კონგრესს, მან მიმართვა გაუგზავნა კონგრესის „დელეგატებს, რომელმაც ყველა მათგანი აღაფრთოვანა. კონგრესს მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მიმართვის ტექსტი, მქუჩარეოვაციით გამოეხმაურნენ მას, რითაც გამოხატეს თავიანთი ღრმა სიყვარული და პატივისცემა მსოფლიო მოწინავე მწერლების მასწავლებლისა და მეგობრის მაქსიმ გორკისადმი.

ჰიტლერის მთავრობას სურდა მოელბო როლანის გული, გადაბირებინა მწერალი თავის მხარეზე; ამ მიზნით მან გერმანიის ელჩს უწევაში დაავალა როლანისათვის გადაეცა გოეთეს მედალი: „ხელოვნებისა და მეცნიერების გულისათვის“. რომენ როლანმა, როგორც მებრძოლმა ჰუმანისტმა, გაბედა და უარი თქვა ამ „საპატიო საჩუქარზე“, მან ჰიტლერელთა ასეთი პოლიტიკა შეაფასა როგორც „დანაშაული კაცობრიობის წინაშე“. ჰიტლერელები განრისხდნენ და შური იძიეს როლანზე, მათ დაწვეს დიდი მწერლის წიგნები.

\* \* \*

რომენ როლანი აღფრთოვანებული იყო კაცობრიობის გენიოსების ლენინისა და სტალინის დიადი პიროვნებებით. როლანმა იცოდა, რომ ლენინი და სტალინი საუცხოო მცოდნენი და დამფასებელნი იყვნენ ხელოვნებისა და ლიტერატურისა. როლანს ეკუთვნის საინტერესო ნარკვევი ლენინზე. როლანი იცნობდა ლენინისა და სტალინის მთელ რიგ შრომებს.

1935 წელს რომენ როლანმა განახორციელა თავისი ოცნება, ინახულა დიდი სტალინი, რომელშიც ის ხედავდა გენიალური ლენინის საქმის დიდ გამგრძობს. ეს შეხვედრა დაუვიწყარი შეხვედრა იყო. საბჭოთა კავშირიდან გამგზავრებისას როლანი დიდ სტალინს სწერდა: „ერთადერთი ნამდვილი მსოფლიო პროგრესი განუყრელადა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ბედოან“. ამის შემდეგ ფრანგი

მწერალი კიდევ უფრო დაუკავშირდა საბჭოთა ქვეყანას, საბჭოთა ხალხს. ის რუსული ენის შესწავლას შეუტვა.

რომენ როლანი მაქსიმ გორკის თავის ძვირფას შასწავლებლად და საკვარელ მეგობრად თვლიდა, განსაკუთრებით მადლიერი იყო ფრანგი მწერალი მაქსიმ გორკისა იმის გამო, რომ მან როლანი საბჭოთა კავშირს, საბჭოთა ხალხს დაახლოვა და დაამეგობრა, ყოველი ვე ამან კი, თავის მხრივ, კეთილმყოფელი გავლენა იქონია დიდი ფრანგი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

მაქსიმ გორკის გარდაცვალების დღეებში რომენ როლანი წერდა: „მე მხოლოდ ერთი მილიონთაგანი ვარ, რომლისთვისაც გორკის სკვერილი უდიდესი დანაკლისია კაცობრიობისათვის იმ ხნიდან, რაც ლენინი გარდაცვალა. გორკი პირველი უმაღლესი მხატვარი იყო სიტყვისა. არც ერთ დიდ მწერალს არ უთამაშნია უფრო მაღალი როლი“.

\* \* \*

გერმანელმა ფაშისტებმა საფრანგეთის ოკუპაცია რომ მოახდინეს, დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი მოწყვიტეს ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, ნათესავებს, მეგობრებს და საკონცენტრაციო ბანაში მოათავსეს. მებრძოლმა პუმანისტება რომენ როლანმა ასეთ პირობებშიც კი შეინარჩუნა თავისი ღრმა სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

წლების განმავლობაში ხალხმა არაფრი იცოდა რომენ როლანის ადგილსამყოფელისა და სიცოცხლის შესახებ. როცა დიდი სტალინის მეთაურობით ძლევამოსილი საბჭოთა არმია შეტევაზე გადავიდა ფაშისტური არმიის წინააღმდეგ და გამანადგურებელი დარტყმები აგერა მას, საფრანგეთსაც მიეცა საშუალება დაეწყო თავისი მიწაწყლიდან ჰიტლერული ურდოების განდევნა. საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა არმიამ თავის მხრებზე გადაიტანა ომის თითქმის მთელი სიმძიმე, მოსპონ გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები და დაუბრუნა მსოფლიოს ხალხებს მათთვის სანატრელი მშვიდობა.

რომენ როლანის საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ის მოესწრო თავისი სამშობლოს განთავისუფლებას. სამოცდაცხრამეტ წელს მიტანებული მწერალი მივიღა პარიზში საბჭოთა საელჩოში და გამოთქვა თავისი უდიდესი კმაყოფილება და უსაზღვრო სიხარული გმირი საბჭოთა ხალხისადმი და მისი უძლეველი არმიისადმი. ამის შემ-

დეგ არ გაუცლია დიდხანს და 1944 წლის დეკემბრის დასასრულს რომენ როლანი გარდაიცვალა. საფრანგეთი სალუტით გამოეოხვია თავის საყარაელ მწერალს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მო-  
ჩის ტორეზი თავის „შესანიშნავ წიგნში „ხალხის შვილი“ სსე გულ-  
თბილად იგონებს რომენ როლანს: „რამდენჯერმე ვყოფილვარ რო-  
მენ როლანისას, მის სახლში ვიღნევს, უენევის, ტბის ნაბირას. იგი  
მუდამ გულლია და სტუმართმოყვარე იყო. ეს იყო მაღალი, ფერ-  
მკრთალი, სუსტი ჯანმრთელობის მქონე კაცი, რომელიც მხრებზე  
არასოდეს არ იშორებდა პლედს. მის ჭროდა თვალებში გამოსჭვი-  
კოდა ენერგია, შორსმჭვრეტელობა და გულკეთილობა. იქ შეიძლე-  
ბოდა ამოგვეკითხა სიყვარული ხალხისადმი, ჭეშმარიტებისადმი.  
ჩვენ დავსეირნობდით ხოლმე ამ პატარა მწვანე კუთხეში, რომელ-  
საც თავს დაჰკურებენ ალპის მთების მწვერვალები. ჩვენ ვსაუბ-  
რობდით ხოლმე მშვიდობისათვის ბრძოლაზე, მუშათა მოძრაობის  
წარმატებაზე, პარტიის მუშაობაზე, რომლისადმი კუთვნილებითაც  
იგი ამაყობდა. ვსაუბრობდით აგრეთვე ლიტერატურასა და ხელოვ-  
ნებაზე.

შემდეგ ვეწვევოდი ხოლმე ვეზლეიში, საღაც რომენ როლანი ჩა-  
მოდიოდა, რათა უფრო აშკარად ეგრძნო საფრანგეთის გულისცემა.  
ჩვენ ვსეირნობდით ხოლმე ძველი შესანიშნავი სააბატოს ტერასზე,  
საიდანაც წმიდა ბერნარი ოდესმე მოუწოდებდა ჯვაროსნული ლაშ-  
ქრობისაკენ. ჩვენ ვიგონებდით ვეზლეის კომუნას, ამ პატარა ქალა-  
ქის მოქალაქეთა საუკუნოებრივ ბრძოლას მათი ძლევამოსილი აბა-  
ტის წინააღმდეგ და იმ სასტიკ რეპრესიებს; რომლებიც მათ რამდენ-  
ჯერმე განიცადეს. მიწა, რომელზეც ჩვენ ვიდექით, გაუღენთილი  
იყო მრავალი წამებულის სისხლით. მაგრამ მათი ადგილი დაიკავეს  
სხვებმა და დაიკავებენ მომდევნონი, სანამ ყველასათვის არ დადგე-  
ბა სამართლიანობისა და ბერნიერების დღე”!

ბურუუზიულ ლიტერატურათმცოდნეები, რომლებმაც ისარგებ-  
ლეს რომენ როლანის ცალკეული შეცდომებით და დროებითი მერ-  
ყეობით, შეეცადნენ მოეწყვიტათ მწერალი თავის სამშობლოსა და  
თავისი ხალხის ინტერესებისაგან, რევოლუციური ჰუმანიზმისაგან,  
ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაგან; შეეცადნენ დაევი-

<sup>1</sup> მორის ტორეზი. ხალხის შეილი. 1952, გვ. 121—122.

წყებინათ ხალხისათვის იგი, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის აქტიური მებრძოლი.

რომენ როლანის ცხოვრებისა და შემოქმედების ასეთი გაყალბების წინააღმდეგ იმთავითვე ხმა ოლიმალეს და სასტიკად გაილაშექრეს სახელოვანმა ფრანგმა კომუნისტმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: ანრი ბარბიუსმა, პოლ ვაიან-კუტიურიემ, მარსელ კაშენმა, ლუი არაგონმა, უან ლაფიტმა. მათ გამოაქვეყნეს მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც დაიცვეს რომენ როლანი იმპერიალისტების შემოტევისაგან. მათ სრულიად სამართლაანად მაღალი შეფასება მისცეს როლანის მხატვრულ შემოქმედებას, მის დაუცხრომელ ბრძოლის ომის წინააღმდეგ, მის ნაყოფიერ მოღვაწეობას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში რომენ როლანის ცხოვრება და შემოქმედება ფართო შესწავლის საგანია. საბჭოთა მკვლევარები მაღალ შეფასებას აძლევენ როლანის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. საბჭოთა კავშირში მრავალათასიანი ტირაუით გამოდის როლანის თხზულებანი. რომენ როლანის როგორც ცალკეული ნაწარმოებების, ძევ საერთოდ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი შრომები და სტატიები<sup>1</sup>, რომელთა მიხედვითაც შედგენილია ეს ლექციაც.

რევოლუციური ტრადიციების მქონე ფრანგი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებს მუდამ შეჰქონდათ თავიანთი წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურტში, თავისუფლებისმოყვარე ფრანგ ხალხს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ მას მძიმე განსაცდელის დროსაც კი შეუძლია გამოიჩინოს სიმტკიცე, ენერგია და ხალისი, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარული და პატივისცემა, დასძლიოს სიძნელეები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. რომენ როლანის უკვდავი შემოქმედება დღესაც ეხმარება ფრანგ ხალხს ამ დრიად ბრძოლებში.

მაქსიმ გორკი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების შესახებ წერდა: „ჩვენს შორის ცხოვრობდნენ სიტყვის დიდი ოსტატები, ადამიანის ცხოვრებისა და სულის საუკეთესო მცოდნეები, ადამიანები, გამსჭვალულნი ცხოვრების სრულყოფისადმი დაუცხრომელი მის-

<sup>1</sup> აღსანიშნავია ჩევრი გამოჩენილი მწერლის ლეო ქაჩელის „საყურადღებო ნარკევი: „რომენ როლან: „უან კრისტოფ“, უზრ. „ხომალდი“, 1922 წ. № 3. :

წრაფებით, გამსჭვალულნი ადამიანისადმი დიდი ოწმენით. ძსინი  
ქმნიდნენ წიგნებს, რომელთაც ვერასოდეს ვერ მიწვდება დავიწყება,  
ვინაიდან ამ წიგნებში აღბეჭდილია მარადიული ჭეშმარიტებან,  
მათს ფურცლებზე ასახულია უჭირნობი სილამაზე, ამ წიგნებში დახა-  
ტული სახეები ცოცხალი არიან, ძსინი გამსჭვალული არიან შთაგო-  
ნების ძალით. ამ წიგნებში არის მამაცობაც და მგზნებარე რისხვაც,  
მათში უდერს წრფელი და თავისუფალი „სიყვარული“.

სწორედ ამნაირად შევიდა რომენ როლანი მსოფლიო ლიტერა-  
ტურაში და დაიმკვიდრა იქ თავისი საპატიო აღგილი.





სოლომონწერილია დასაბეჭდად 17/XII-54 წ. ანაწყობის ზომა  $6 \times 9\frac{1}{4}$ . ქაღალდის  
ზომა  $60 \times 84$ . სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,25. ტირაჟი 10.000. უე 05980.  
შეკვეთა № 1560.

---

პოლიგრაფიული კომპინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Полиграфкомбинат „Коммунисти“, Тбилиси, ул. Ленина № 14.



Кандидат филологических наук

Д. А. ПАНЧУЛИДЗЕ

ВЫДАЮЩИЙСЯ ФРАНЦУЗСКИЙ  
ПИСАТЕЛЬ РОМЭН РОЛЛАН

(на грузинском языке)

Издание общества по распространению  
политических и научных знаний

Грузинской ССР

Тбилиси

1954



## დაიწყო სელმოწერის მიღება 1955 წლისათვის

საქართველოს სსრ პოლიტიკური და  
მეცნიერული ცოდნის გამაპრცედენტი  
ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს

## ლექცია— პროშურებზე

სამი თვით	—18	ლექცია-პროშურა	—18 მან.
ექვსი თვით	—36	" "	—36 მან.
ცხრა თვით	—54	" "	—54 მან.
ერთი წლით	—72	" "	—72 მან.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში,  
კავშირგაბმულობის კანტორებსა და განყოფილებებში, სა-  
აგენტოებში, ფოსტალიონების, წერილების დამტარებლებისა  
და საზოგადოებრივი რწმუნებულების მიერ ფაბრიკა-ქარხ-  
ნებში, საწარმოო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ორგა-  
ნიზაციებში, კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სად-  
გურებში, საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული  
ცოდნის გამაპრცედენტი საზოგადოება